



საქართველოს მწვანეთა მოძრაობა  
დედამიწის შეგობრები - საქართველო

# გარემო და საზოგადოება

საქართველოს მწვანეთა მოძრაობის პერიოდული გამოცხავა. № 1 (22) 2013 წელი



## კლიმატის ცვლილების კვირეული საქართველოში

\* \* \*

**გლობალური დათბობით გამოწვეულ კლიმატის ცვლილებაზე დღეს მოვლიოს  
მრავალ ქვეყნაში აჭიურად საზოგადოებრივი და მის შესარბილებლად  
სხვადასხვა ღონისძიებებს მიმართავთ**

კაცობრიობის ისტორიაში გლობალური კლიმატის ცვლილების სხვადასხვა პერიოდი გამოიყოფა, თუმცა მიმდინარე კლიმატის ცვლილება გამოწვეულია ადამიანის საქმიანობით და პირდაპირ უკავშირდება ინდუსტრიალიზაციას. განსაკუთრებით აქტუალური გახდა კლიმატის ცვლილება მე-20 საუკუნიდან, როდესაც ადამიანმა მზარდი მოთხოვნილებების დასაკუთრილებლად ბუნებრივი რესურსების ინტენსიური ათვისება დაიწყო, რამაც უზარმაზარი მასშტაბები მიიღო. მსოფლიო აღმოჩნდა სერიოზული საშიშროების წინაშე, რომ გარემოსადმი გაუაზრებელი მომხმარებლური დამოკიდებულება გამოიწვევდა შეუქცევად პროცესებს, რაც მომავალ თაობებს გაურთულებდა არსებობას. ამის თავიდან ასაკილებლად კაცობრიობამ სამოქმედოდ დაისახა ე.წ. „მდგრადი განვითარების“ პრინციპი. „მდგრადი განვითარება ისეთი განვითარებაა, რომელიც პასუხობს დღევანდელ მოთხოვნებს და საფრთხის ქვეშ არ აყენებს მომავალი თაობების უნარს - დაიკმაყოფილონ საკუთარი მოთხოვნები“ (“Sustainable development is such development that meets the current demands and does not run future generation risk to meet their own demands”. citatis wyaro: “Our Common Future” - Report of the World Commission on Environment and Development - The Brundtland Report, 1987).

### ერთად შევმნათ მდგრადი მომავალი...

#### 4-10 ნოემბერი - კლიმატის ცვლილებისადმი მიძღვნილი კვირეული საქართველოში

კლიმატის ცვლილებისადმი მიძღვილი კვირეული ყოველწლიურად მსოფლის მრავალ ქვეყანაში აღინიშნება და მის ფარგლებში სხვადასხვა სახის აქტივობები, შეხვედრები, აქციები და კონფერენციები ტარდება. წელს, საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები—საქართველოს ინიციატივით და ორგანიზებით, კლიმატის ცვლილებისადმი მიძღვილი კვირეული მეტუთედ აღინიშნა და მის ფარგლებში სხვაგადასხვა გარემოსდაცვითი ლონისმიერები ჩატარდა. კვირეულის მიზანია საზოგადოების მობილიზება და მათი აქტიური ჩართვა კლიმატის ცვლილებით გამოწვეული პრობლემების შერძილების პროცესებში.

კლიმატის კვირეულის ფარგლებში დაგეგმილ ლონისმიერებში ირგანიზატორებთან ერთად მონაწილეობდნენ სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების, საზოგადოებრივი ჯგუფების,

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო წარმომადგენლები.

კვირეული ტრადიციულად თბილისში, 4 ნოემბერს გაიხსნა და მის ფარგლებში სხვადასხვა აქტივობა ჩატარდა. კერძოდ, თბილისის საკონცერტო დარბაზისა და ვაკის პარკის მიმდებარე ტერიტორიებიდან მოეწყო ველოსიპედისტების მსვლელობა, მზიურის პარკის მიმდებარე ტერიტორიამდე, სადაც შეკრებილები იყვნენ კვირეულში მონაწილე სხავადასხვა არასამთვრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, სტუდენტები, მოხალისები. კვირეული ტრადიციულად გახნა საქართველოს მწვანეთა მოძრაობის თანათავმჯდომარეებმა ქ-მა ნინო ჩხობაძემ და ქ-მა რუსუდან სიმონიძემ. შეკრებილ საზოგადოებას მიესალმა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი ქ-ნი ხათუნა გოგალაძე.



\* \* \*



6 კვირეულის მიმდინარეობის ფარგლებში, 6 ნოემბერს, იპოდრომის მიმდებარე ტერისტორიასთან მწვანეთა მოძრაობის ახალგაზრდული ჯგუფის ორგანიზებითა ჩატარდა აქცია სახელწოდებით „დიახ განაცვლებად ენერგიებს“ (ფლეშმობი). მსგავსი ტრიასის აქცია ჩატარდა თბილისის 71-ე საჯარო სკოლის მხარდაჭერით სკოლის ტერიტორიაზე, რომელშიც 150-მა მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა. აქციის ფარგლებში მოსწავლეებმა დახატეს ქარზე მომუშავე წისქილი, რითაც გამოხატეს განაცვლებადი ენერგიების გამოყენების აუცილებლობა პლანეტის მომავლისათვის. აქციაში მონაწილეობა მიიღეს, ასევე სხვადასხვა ორგანიზაციების მათ შორის, „იეს-ჯორჯიას“, „ჰელიონგ პენდ“-ის, „სამოქალაქო განვითარების ცენტრის“, „ეკო-დებატების კლუბი თსუ“-ს, „გეო-ეკო ალიანსი“-ს წარმომადგენლებმა, მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის მოსწავლეებმა.

9 ნოემბერს, კლიმატის კვირეული ფარგლებში თსუ-ში სოც. და პოლიტიკური შეცნიერების ფაკულტეტზე საზ. გეოგრაფიის მიმა-

რთულების საინიციატივო ჯგუფის, ნარინჯისფერთა კლუბის, საქართველოს მწვანეთა მოძრაობისა და ორგანიზაცია CENN-ის თანამშრომლობით, თსუ-ს მეოთხე კორპუსში დაიდგა მწვანე ცუთი.

10 ნოემბერს, არასამთავრობო ორგანიზაცია „YES-Georgia“-სა და „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველო“-ს შორის გაფორმდა ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი.

კლიმატის ცვლილების კვირეული საქართველოში ტარდება, საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველოს ორგანიზებითა და საქართველოში ევროკომისიის დელეგაციის წარმომადგენლობის ფინანსური მხარდაჭერით.



## ცოტა რაზ ისტორიიდან

ჯერ კიდევ, 1979 წელს კლიმატის ცვლილებისადმი მიძღვნილმა პირველმა მსოფლიო კონფერენციამ კლიმატის ცვლილება სერიოზულ პრობლემად აღიარა. გამოიცა დეკლარაცია მსოფლიოს მთავრობებისადმი მოწოდებით, გაეთვალისწინებინათ და თავიდან აუცილებინათ კლიმატის ცვლილება, რომელიც შეიძლება მავნე ყოფილიყო კაციობრიობის კეთილდღეობისათვის. გაჩნდა იდეა მსოფლიო კლიმატური ორგანიზაციის დაფუძნების შესახებ. ჩატარდა მთელი რიგი სამთავრობათაშორისო შეხვედრებისა, რომელიც მიეძღვნა კლიმატის ცვლილებას და რომელშიც მონაწილეობდნენ მთავრობებიდან

პოლიტიკის გამტარებლები, მეცნიერები და გარემოს დამცველებები. შეხვედრებზე განიხილებოდა სამცნიერო და პოლიტიკური საკითხები, მოწოდებები ერთობლივი ქმედებებისაკენ. დროთა განმავლობაში მიმდინარე შეხვედრების ფონზე მომზადდა საფუძვლები კლიმატის ცვლილების კონვენციის შესახებ მოლაპარაკებისათვის.

კლიმატის ცვლილების ესპერტთა სამთავრობათაშორისო საბჭომ თავისი პირველი შეთასებითი ანგარიში გამოსცა 1990 წელს. 1992 წელს, კი რიო დე უანეროში 154 სახელმწიფო ხელი მოაწერს კლიმატის ცვლილების შესახებ გაეროს ჩარჩო კონვენციას.



1992 წელს რიო დე ჟანეიროში გამართულ კონფერენციაზე ("რიოს სამიტი") "გარემო და განვითარება" საერთაშორისო თანამეგობრობამ შეიმუშავა და მიიღო მდგრადი განვითარების

სამოქმედო გეგმა "დღის წესიგი 21". ამ დოკუმენტმა გარემოსდაცვითი, ეკონომიკური და სოციალური პრობლემები ერთიან პოლიტიკურ ჩარჩოში მოაქცია. "დღის წესიგი 21" შეიცავს 2500-ზე მეტ რეკომენდაციას, თუ რა გზით შევზღუდოთ ბუნებრივი რესურსების უყაირათო მოხმარება, როგორ დავიცვათ ატმოსფერო, ოკეანე და ბიომრავალფეროვნება, როგორ დავძლიოთ სიღარიბე და სრგა.

კლიმატის ცვლილების კონვენციის საბოლოო მიზანია მიაღწიოს არმოსტეროში სათბურის გაზების კონცენტრაციების სტაბილიზაციას იმ დონეზე, რომელიც არ დაუშვებს კლიმატურ სისტემაზე საშიში ანთროპოგენური ზემოქმედება.

საქართველომ კონვენციის რატიფიკაცია მოახდინა 1994 წელს.

2012 წლის მდგომარეობით კლიმატის ცვლილების კონვენციის მხარე 194 ქვეყანა და ერთი რეგიონული ორგანიზაცია (ევროკავშირი). კონვენციის მხარე ქვეყნები კუკის კუნძულები და ნიუი არ არიან გაეროს წევრი ქვეყნები.

## ძონვენციის ორგანოები

კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის ორგანოები შექმნილია მხარეთა კონფერენციის გადაწყვეტილებებით და უზრუნველყოფებრივ კონვენციის ფუნქციონირებას.

მხარეთა კონფერენცია [Conference of Parties (COP)] კონვენციის უმაღლესი ორგანოა. COP-ში კონვენციის ხელმომწერი ყველა მხარე ქვეყნის მთავრობაა წარმოდგენილი, რომლებიც განიხილავენ და ხელს უწყობენ როგორც კონვენციის, ასევე COP-ის მიერ მიღებული ნებისმიერი სხვა საკანონმდებლო ინსტრუმენტის (იურიდიული დოკუმენტის) განხორციელებას. COP-ის უმთავრესი ამოცანაა განიხილოს მხარეების მიერ წარდგენილი ეროვნული შეტყობინებები და სათბურის გაზების ემისიების ეროვნული ინვენტარიზაციების ანგარიშები. ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით, COP შეფასებას აძლევს კონვენციის საბოლოო მიზნის მისაღწევად მხარეთა მიერ მიღებული ღონისძიებების ეფექტურობასა და პროგრესს.

COP იყრიბება ყოველ წელს, თუ ხელმომწერი მხარეები სხვანაირად არ გადაწყვეტებ. COP-ის პირველი შეხვედრა შედგა 1995 წლის მარტში ბერლინში-გერმანია. თუ რომელიმე მხარე არ გამოთქვას სურვილს უმასპინძლოს შეხვედრას,

მაშინ COP იყრიბება ბონში, იქ სადაც კონვენციის სამდივნოა განლაგებული. COP-ის პრეზიდენტები აირჩევიან მონაცემებით გაეროს ხუთი რეგიონიდან: აფრიკა, აზია, ლათინური ამერიკა და კარიბის აუზი, აღმოსავლეთ ევროპა და დასავლეთ ევროპა და სხვები.

მხარეთა კონფერენცია, მოქმედი როგორც კიოტოს ოქმის მხარეთა სხდომა [Conference of Parties Serving as a Meeting to the Kyoto Protocol (CMP)]. მოქმედებს როგორც კიოტოს ოქმის მხარეთა სხდომა (CMP). შეხვედრაში მონაწილეობენ კიოტოს ოქმი მონაწილე მთავრობები, ხოლო კონვენციის მხარეები, რომლებიც არ არიან კიოტოს ოქმის ხელმომწერი მხარეები, წარმოდგენილნი არიან როგორც დამკავირვებლები. CMP განიხილავს, თუ როგორ ხორციელდება კიოტოს ოქმი და იღებს გადაწყვეტილებებს მისი ეფექტური განხორციელების ხელშესაწყობად. CMP იმართება ყოველწლიურად, იმავე დროს როდესაც COP. CMP-ს ფუნქციები კიოტოს ოქმის მიმართ მსგავსია კონვენციის მიმართ COP-ის ფუნქციებისა. კიოტოს ოქმის მხარეების პირველი შეხვედრა შედგა 2005 წლის დეკემბერში მონრეალში, კანადა, მხარეთა მე-11 კონფერენციაზე (COP 11).

## გიოტოს ოქმი

კიოტოს ოქმი მიღებული იქნა იაპონიის ქალაქ კიოტოში 1997 წლის 11 დეკემბერს და ძალაში შევიდა 2005 წლის 16 თებერვალს. ოქმის განხორციელების დეტალური წესები მიღებულ იქნა 2001 წელს მაროკოში კლიმატის ცვლილების მხარეთა კონფერენციის მე-7 სესიაზე და ცნობილია „მარაკეშის შეთანხმებების“ სახელით.

კიოტოს ოქმი წარმოადგენს კლიმატის ცვლილების კონვენციასთან დაკავშირებულ საერ-

თაშორისო ხელშეკრულებას. კიოტოს ოქმის მთავარი თავისებურება ისაა, რომ ოქმი ადგენს ინდუსტრიალურებული ქვეყნებისათვის სათბურის გაზების შემცირების სავალდებულო მიზნებს.

კიოტოს ოქმის უმაღლესი ორგანოა კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის მხარეთა კონფერენცია, რომელიც მოქმედებს როგორც კიოტოს ოქმის მხარეთა სხდომა. საქართველო კიოტოს ოქმს შეუერთდა 1999 წელს.

## სუფთა განვითარების მექანიზმის (სგმ)

სუფთა განვითარების მექანიზმის (სგმ) აღმასრულებელი საბჭო ზედამზედელობს კიოტოს ოქმის სუფთა განვითარების მექანიზმს. სუფთა განვითარების მექანიზმის აღმასრულებელი საბჭო უმაღლესი საკონტაქტო ორგანო (უმაღლესი ინსტანცია) სგმ პროექტების მონაწილეთათვის პროექტების რეგისტრაციისა და სერტიფიცირებული ემისიების შემცირების გაცემისას.

კლიმატის ცვლილების ექსპერტთა სამთავრობოთაშორისო ჯგუფი სამეცნიერო ორგანოა, რომელიც მიმოიხილავს და შეისწავლის მსოფლიოს მაშტაბით კლიმატის ცვლილების შემცნებასთან დაკავშირებულ უახლეს სამეცნიერო, ტექნიკურ და სოციო-ეკონომიკურ ინფორმაციას. ჯგუფი არ ატარებს არანაირ კვლევას და არ ახორციელებს მონიტორინგს კლიმატთან დაკავშირებულ მონაცემებსა და პარამეტრებზე. მხარეთა კონფერენცია იყენებს კლიმატის ცვლი-

ლების სამთავრობოთაშორისო ჯგუფის შედეგებს – მის მონაცემებსა და ინფორმაციას.

კლიმატის ცვლილების კონვენციის მიზანია მიღწეული იქნას ატმოსფეროში „სათბური გაზების“ კონცენტრაციის სტაბილიზაციის ისეთი დონე, რომელიც შეუქცევადს არ გახდის გლობალური დათბობის პროცესს. ამისთვის განითარებულმა ქვეყნებმა აიღეს ვალდებულებები, რომ 2000 წლისთვის დაიყვანონ 1990 წლის დონეზე.

კონვენციას გააჩნია დანართი 1, რომლებიც შედის განვითარებული ქვეყნები, დანარჩენ ქვეყნები მიეკუთვნებიან დანართ 1-ში არ შესული ქვეყნები. კონვენცია ავალდებულებს განვითარებულ ქვეყნებს დაქმარონ განვითარებად ქვეყნებს კლიმატის ცვლილების ნეგატიურ შედეგებთან ადაპტაციის ღონისძიებების განვითებაში.

## გლობალური დათბობა

გლობალური დათბობა დედამიწის ზედაპირის საშუალო ტემპერატურის თანმიმდევრული მატებაა, რომელიც ატმოსფეროში სათბური აირების დაგროვებით არის გამოწვეული. მეცნიერული კვლევებით დამტკიცდა, რომ გამონაბოლები ემისიები, რომელიც ინდუსტრიული საქმიანობისა და ტრანსპორტის საწვავის წვის შედეგად გამოიყოფა, ყველაზე მეტად მოქმედებს ტემპერატურის ზრდის პროცესზე.

გლობალური დათბობის ძირითად მიზეზს წარმოადგენს, ადამინის სააქმიანობის შედეგად ატმოსფეროში „სათბური გაზების“ ემისიების (გაფრენევევა) და შესაბამისად „სათბური გაზების“ კონცენტრაციის ზრდა.



„სათბური გაზებია“ ატმოსფეროში არსებული გაზები, რომლებიც თავისი ფიზიკური თვისებებიდან გამომდინარე შთანთქავენ, დედამიწიდან კოსმოსში გასხივებული ენერგიის ნაწილს, იმავდროულად საკუთარი გამოსხივების ხარჯზე დედამიწას უკან უბრუნებენ გარკვეული რაოდენობის სითბოს. ამ მოვლენას „სათბურ ეფექტს“ უწოდებენ.

„სათბურის გაზებია“ ნახშირორუნველი (CO<sub>2</sub>), მეთანი (CH<sub>4</sub>) და აზოტის ჰევეუნგი (N<sub>2</sub>O). მიუხდვად იმისა, რომ მეთანი, განსაკუთრებით კი აზოტის ჰევეუნგი ბევრად უფრო ძლიერი „სათბურის ეფექტს“ მქონე გაზებია, ვიდრე ნახშირორუნველი, იგი მთავარ როლს ასრულებს კლიმატის ცვლილების პროცესში დიდი ოდენობით ემისიის (გაფრქვევის) გამო. ნახშირორუნველი ძირითადად გამოიყოფა წილისეული

საწვავის (ნახშირი, ნავთობი, ბუნებრივი გაზი და სხვ.) წვისას. საწვავში არსებული ნახშირბადი ჟიმიურ რეაქციაში შედის ატმოსფეროში არსებულ ჟანგბადთან და მიღება ნახშირორუნვი. ამ რეაქციის დროს გამოიყოფა სითბო. ნახშირორუნვი ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გაზია. იგი ხშირად ერევათ ნახშირუნვში CO), რომელსაც მხუთავ გაზსაც უწოდებენ და რომელიც ადამიანის სიცოცხლისათვის სახითაო გაზს წარმოადგენს.

ადამიანის საქმიანობის გააქტიურებამ გამოიწვია „სათბურის გაზების“ ემისიებისა და ატმოსფეროში მისი კონცენტრაციის ზრდა. რაც უფრო მაღალია „სათბურის გაზების“ კონცენტრაცია ატმოსფეროში, მით მეტი სითბო რჩება დედამიწაზე.

## კლიმატის ცვლილების შედებება

კლიმატის ცვლილების პრობლემის გადაჭრაში განსაკუთრებული როლი აკისრია ტყეს. ტყეში ყოველი ხე-მცენარე ზრდისას ჩაიჭერს ატმოსფეროდან ნახშირორუნვს და გამოიყოფს ჟანგბადს, რაც ფოტოსინთეზის მეშვეობით ხორციელდება. სხვადასხვა ჯიშისა და ასაკის ხეებს ნახშირორუნვის შთანთქმის განსხვავებული უნარი გააჩნიათ.



1 ჰექტარზე გაშენებული წიფლის ტყე 50 წლის მანძილზე შთანთქავს დაახლოებით 1200 ტონა CO<sub>2</sub>-ს, ფიჭვის ტყე კი 700 ტონა CO<sub>2</sub>-ს. ერთი ჰექტარი. შერეული ტყე საშუალოდ წელიწადში შთანთქავს 15-25 ტონა CO<sub>2</sub>-ს.

ენერგეტიკაში სათბურის გაზების ემისიის შემცირების შესაძლო გზებია:

- წილისეული საწვავის ენერგიის ეფექტური გარდაქმნა სასარგებლო ენერგიად;
- ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით ენერგოფექტურობის გაზრდა;
- ნახშირბადის დაბალი შემცველობის მქონე წილისეული საწვავის გამოყენება;

კერძოდ, ნახშირიდან მაზუთზე ან ბუნებრივ გაზზე და მაზუთიდან ბუნებრივ გაზზე გადასვლა.

## ენერგიის განახლებადი ზუაროების გამოყენება და საქართველო

საქართველოში კარგად არის შესწავლილი და შეფასებული განახლებადი ენერგორესურსები, მათი გეოგრაფია, სეზონურობა, სტაბილურობა და სხვა მახასიათებლები.

- საქართველო თავისი პიდრორესურსებით მსოფლიოს ერთ-ერთი უმდიდრესი ქვეყანაა. დღეს ათვისებულია ამ რესურსების მხოლოდ მცირე ნაწილი.
- საკმაოდ პერსპექტიულია ბიომასის ენერგიის გამოყენება, რადგან ბიომასის განახლების პროცესი უწყვეტია და თანაც ბიომასის ენერგიად გარდაქმნისას გამოყოფილი CO<sub>2</sub>-ხელახლა შთანთქმება მცენარეების მიერ ფოტოსინთეზის წყალობით;
- ქვეყანა მდიდარია გეოთერმული წყლებით, რომელთა ენერგიის გამოყენება დღეს ხდება მცირე მასშტაბებში.
- ქარისა და მზის ენერგიის მარაგები კარგად არის შესწავლილი, თუმცა პრაქტიკულად მათი ათვისება ჯერ არ დაწყებულა.
- ემისიების შემცველება შეიძლება საწარმოო პროცესების მოდიფიკაციით, ნედლეულის შეცვლითა და სათბურის გაზების ინტენსიურად წარმომქმნელ მასალათა მოხმარების შეზღუდვით;
- ემისიების შემცველება შესაძლებელია ქვეყანაში ენერგოფექტური სავტომობილო



- პარკის (ეკონომიურ ძრავიანი, შემსუბუქებულ წონიანი ავტომობილები, რომელთა კონსტრუქცია უზრუნველყოფს ჰაერის მცირე წინააღმდეგობას კომფორტის შენარჩუნებით) განვითარებით, გზების საფარის გაუმჯობესებით და სხვა.
- სათბურის გაზების ემისიის შემცირება

- უნდა მოხდეს იმგვარად, რომ არ შეფერხდეს ეკონომიკის განვითარება.
- ქვეყნის ეკონომიკაში პრიორიტეტულად უნდა ჩაითვალოს ენერგოდამზოგავი ტექნოლოგიების განვითარება და ენერგიის მიღება ეკოლოგიურად სუფთა, ენერგიის განახლებადი წყაროებიდან.

## გლიმატის ცვლილება და საშარო განვითარება

კლიმატის ცვლილების შედეგად გამოწვეული მოსალოდნელი საფრთხეები და საქართველო საქართველოს ტერიტორია გამოირჩევა მრავალფეროვნებით და მოიცავს, როგორც ტენიან სუბტროპიკებსა და გვალვიან სტეპებს, ასევე მუდმივი თოვლითა და ყინულით დაფარულ მთის მასივებს. კლიმატის ცვლილების შედეგად საფრთხე დაემუქრება საქართველოს ეკონომიკასა და ბუნებრივ ეკოსისტემებს, შეიცვლება ჰაერის ტემპერატურა. კლიმატის ცვლილება გავლენას ახდენს სანაპირო ზონაზე და მომავალშიც მოახდენს, რაც გამოიხატება ძირითადად ზღვის გაცივებით და წყლის დონის აწევით. დღეისათვის საქართველოს სანაპირო ზონაში ნათლად არის გამოხატული ჰაერის ტემპერატურის კლების ტენდენცია, რაც ზღვის გაცივების შედეგია.

კლიმატის მკვეთრი ცვლილების დროს:

- შეიცვლება და გადაგეარდება ეკოსისტემები, ზოგიერთი მათგანი საერთოდ გაქრება;

- შეიცვლება ცხოველთა, მცენარეთა სახეობების გავრცელების არე, ზოგი მათგანი საერთოდ გაქრება;
- დათბობის შემთხვევაში ტყის საფარი წაინაცვლებს ვერტიკალურად ზევით და გადევნის ალპურ სათიბებსა და საძოვრებს, რაც გამოიწვევს სათიბებისა და საძოვრების გაქრობას;
- კლიმატის ცვლილება გამოიწვევს რეგიონული ქარის სისტემის ცვლილებას, რასაც გავლენა ექნება ნალექების განაწილებაზე. გახშირდება წყალდიდობები, გვალვა, ტყის ხანძრები, შტორმები და ქარიშხლები;
- გაჩნდება ახალი სახეობები, წყლით დაიფარება მსოფლიოში ზოგიერთი კუნძული, გაძნელდება საკებების მოპოვება იმის გამო, რომ ზოგან შემცირდება წყლის რესურსი, რაც გაზრდის აონდული მიწების ფართობს, ზოგან პირიქით;
- ხშირი წყალდიდობები და წყალმოვარდნები შეამცირებს ნიადაგის სასოფლო-სამურნეო მიზნით გამოყენების შესაძლებლობას;
- და ა.შ.

## სოფლის გაურნეობა და საგვების უსაფრთხოება

- მომავალ ათწლეულებში გლობალური სოფლის მეურნეობა ბევრი პრობლემის პირისპირ აღმოჩნდება. დეგრადირებული ნიადაგი და წყლის რესურსები წარმოშობს უამრავ დაბაბულობას ზრდადი მოსახლეობის საკვებით უზრუნველყოფის საქმეში. კლიმატის ცვლილების გამო აღნიშნული ძღვომარეობა შეიძლება გაუარესდეს. თუ გლობალური დათბობა 2,5°C-ზე დაბალი იქნება, მაშინ იგი ვერ მოახდენს მნიშვნელოვან გავლენას საკვების მთლიან პროდუქციაზე, მაგრამ 2,5°C-ზე მეტმა დათბობამ შეიძლება გამოიწვიოს საკვებით გლობალური მომარაგების შემცირება და ხელი შეუწყოს საკვები პროდუქტების ფასების ზრდას.
- ზოგიერთი სასოფლო-სამურნეო რეგიონი აღმოჩნდება კლიმატის ცვლილების საფრთხის წინაშე, ხოლო ზოგიერთვისათ-



- ვის კი კლიმატის ცვლილება მომგებიანი იქნება. ადგილი ექნება სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლის რაოდენობასა და პროდუქტულობაზე გავლენის გარიაბელობას. საშუალო კონტინენტური ზონები, როგორებიცაა, აშშ-ში მარცვლობანთა ზოლი, საშუალო განედების ფართე უბნები აზიაში, აფრიკის სუბსაჰარის რეგიონი და აკსტრალიის ნაწილი აღმოჩნდება უფრო მშრალ და ცხელ პირობებში.
- მომატებული ტემპერატურა გავლენას მოახდენს პროდუქციის პატერნზე (ზასი-ათზე). ყინვისა და სიცივის შემცირების შედეგად მცენარეთა ზრდა და განვითარება შეიძლება გაუმჯობესდეს, მაგრამ მაღალი ტემპერატურისა და წყლის რესურსების შემცირების თანხლები პროცესების გამო ზოგიერთი კულტურის მოსავალი შეიძლება დაზიანდეს.
  - ნიადაგის ტენიანობაზე გავლენას მოახდენს ნალექების სტრუქტურის ცვლილება. კლიმატის მოდელების პროგნოზის მიხედვით, რომელიც ეფუძნება მომავალი 100 წლის განმავლობაში 1,4-5,8°C-ით დათბობას, აორთქლება და ნალექების რაოდენობა გაიზრდება, რაც გამოწვეული იქნება.
  - შეიცვლება აგრეთვე საძოვრებისა და სათიბების პროდუქტულობა. მაგალითად, თუ მარცვლონების დაზიანებით გამოწვეული ფასები გაიზრდება, მაშინ შინაური ცხოველების ფასიც მოიმატებს. როგორც ჩანს, ინტენსიური მენეჯმენტის შედეგად მეცხოველობა უფრო ადვილად შეეგუება კლიმატის ცვლილებებს, ვიდრე სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოება.

### ზღვის ღონი, ობენანები და სანაპირო ზონები

- გასული 100 წლის განმავლობაში ზღვის გლობალურმა საშუალო დონემ 10-20 სმ-ით იმატა. ზრდის ტემპი – 1-2 მმ წელიწადში – დაახლოებით 10-ჯერ უფრო ჩეარია, ვიდრე გასული 3000 წლის განმავლობაში იყო აღრიცხული. როგორც ჩანს, აღნიშნული ზრდა უპირატესად განპირობებულია ატმოსფეროს ქვედა შრეების გლობალური საშუალო ტემპერატურის 0,6-0,2°C-ით მომატებით, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1860 წლიდან. ამ მოვლენასთან დაკავშირებულ და ამჟამად აღრიცხულ ეფექტებს მიეკუთვნება ზღვის ზედაპირის ტემპერატურის ზრდა, ზღვის ყინულოგანი საფარის დონობა, გაზრდილი აორთქლება და ზღვის პროდუქტების “ბადის” ცვლილებანი.
- მოდელებით პროგნოზის მიხედვით 2100 წლისათვის ზღვის დონე 9-88-სმ-ით აიწევს. ეს მოხდება ოკეანის გამთბარი წყლის თერმული გაფართოებითა და მყინვარებისა და ყინულოგანი საფარის დონობის შედეგად წყლის რაოდენობის მომატებით. ზღვის დონის ცვლილების ტემპი, სიდიდე და მიმართულება ლოკალურად და რეგიონალურად ცვალებადი იქნება, რასაც განაპირობებს სახაპირო ზოლის თავისებურებები, ოკეანის დინებების ცვლილებები, განსხვავებები ზღვის მიქცევა-მოქცევაში და

თავისებმა წვიმების გახშირებით. ზოგიერთი რეგიონი უფრო ტენიანი გახდება, მაშინ როდესაც სხვა რეგიონებში გააქტიურებული პიდროლოგიური ციკლის გამოხატულება ნიადაგის მიერ ტენიანობის დაკარგვა და გაძლიერებული ეროზია იქნება. ზოგიერთ, გვალვისადმი მიდრეკილ რეგიონებში შეიძლება ადგილი ჰქონდეს უფრო ხანგრძლივ და ძლიერ გვალვას. კლიმატის მოდელები ტენიანობის სასათათის სეზონურ ცვლილებებსაც ვარაუდობენ: ზაფხულის განძავლობაში ზომიერი განედების ზოგიერთ კონტინენტურ რეგიონში ნიადაგის ტენიანობა შემცირდება, ხოლო მაღალ განედებში ზამთრის განმავლობაში წვიმა და თოვა ალბათ გახშირდება.

- შეიცვლება აგრეთვე საძოვრებისა და სათიბების პროდუქტულობა. მაგალითად, თუ მარცვლონების დაზიანებით გამოწვეული ფასები გაიზრდება, მაშინ შინაური ცხოველების ფასიც მოიმატებს. როგორც ჩანს, ინტენსიური მენეჯმენტის შედეგად მეცხოველობა უფრო ადვილად შეეგუება კლიმატის ცვლილებებს, ვიდრე სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოება.

ზღვის წყლის სიმკვრივეში და თვით ხმელეთის ვერტიკალური მიმრაობა. მოსალოდნელია, რომ ზღვის დონე გააგრძელებს ზრდას ასეული წლების განმავლობაში, მას შემდეგაც კი, რაც ატმოსფეროს ტემპერატურა სტაბილური გახდება.

- ზღვის დონის მომატება, ნაპირებზე გადმოსვლა და სანაპიროს ეროზია გამძაფრდება. მარილიანი წყლის ინტრუზია დაქვეითებს მტკნარი წყლის ხარისხსა და რაოდენობას. ზღვის მომატებულმა დონემ შეიძლება ასევე გამოიწვიოს ისეთი ექსტრემალური მოვლენები, როგორიცაა მაღალი ტალღები, შტორმები და ზღვის სეისმური ტალღები (ცუნამი), რაც უფრო ძლიერ დესტრუქციას განაპირობებს.



- ზღვის დონის გაზრდამ შეიძლება დააზიანოს ეკონომიკის საკვანძო სექტორები. საკუების დიდი რაოდენობა იწარმოება სანაპირო ზონებში, რაც განსაკუთრებით მოწყვლადს ხდის თევზჭერას, ზღვის კულტურებსა და სასოფლო-სამეურნეო წარმოებას. რისკის წინაშე დგას ტურიზმი, ადამიანთა დასახლებები.
- სანაპირო ზოლის სასარგებლო ეკოსისტემები აღმოჩნდება სერიოზული რისკის წინაშე. სანაპირო ზონები შეიცავს მსოფლიოში ყველაზე უფრო მრავალფეროვან და პროდუქტიულ ზოგიერთ ეკოსისტემას – მანგრის ტყეებს, მარჯნის რიფებს და წყალმცენარეებს. მარჯნის პოლიპები საკ-
- მაოდ სწრაფად იზრდება და შედარებით მდგრადია ზღვის დონის ზრდის მიმართ, მაგრამ შეიძლება დაზიანდეს ზღვის ტემპერატურის ზრდის გამო.
- ზემოქმედება შეიძლება მოხდეს ოკეანის ეკოსისტემებზეც. ზღვის დონის ზრდასთან ერთად, კლიმატის ცვლილება შეამცირებს ზღვის ყინულოვან საფარის. გაზომვებით დადგენილია, რომ გასული ორი ათწლეულის განმავლობაში არქტიკაში ყინულოვანი საფარი 14%-ით შემცირდა, ხოლო ანტარქტიკაში 1950 წლების შუა პერიოდიდან 1970 წლების დასაწყისამდე ყინულოვანი საფარი შემცირდა 25%-ით.

### ბიოლოგიური მრავალფეროვნება და ეძოსის ფაქტი



- ბიოლოგიურ მრავალფეროვნებას, რომელიც წარმოადგენს უდიდეს ეკოლოგიურ და კულტურულ ფასეულობას, კლიმატის სწრაფი ცვლილება საფრთხეს შეუქმნის. კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ახალი პირობების საპასუხოდ ადგილი ექნება ცალკეული სახეობების ცვლილებას, რაც, თავის მხრივ, გამოიწვევს ეკოსისტემების შედგენილობისა და გეოგრაფიული მდებარეობის შეცვლას. სახეობები, რომლებიც ვერ შეძლებენ სწრაფად შეეგუონ ახალ პირობებს, შეძლება გადაშენდნენ. ეს იქნება აუნაზღაურებელი დანაკარგი.
- სახეობებმა და ეკოსისტემებმა უკვე დაიწყეს გლობალურ დათბობაზე რეაგირება. მეცნიერებმა აღრიცხეს სულ მცირე 420 ფიზიკური პროცესისა და ბიოლოგიური სახეობების ანდა სახეობათა გაერთიანების კლიმატით ინდუცირებული ცვლილებები. ცვლილებები მოიცავს გადამფრენი ფრინველების უფრო ადრე მოფრენას გაზაფხულზე და გვიან გაფრენას შემოდგომაზე.
- ტყეების ადაპტაცია შეცვლილ პირობებთან

ნელნელა მიმდინარეობს. დაკვირვებებით, ექსპერიმენტებით და მოდელებით ნაჩვენებია, რომ გლობალური საშუალო ტემპერატურის  $10^{\circ}\text{C}$ -ით ხანგრძლივ ზრდას შეუძლია გავლენა მოახდინოს ტყეების ფუნქციონირებასა და შედგენილობაზე. არსებულ ტყეებში შეიცვლება სახეობრივი შემადგენლობა, ამასთანავე ადგილი ექნება სახეობათა ახალი შემადგენლობისა და, შესაბამისად, ახალი ეკოსისტემების ჩამოყალიბებას. დათბობით გამოწვეული სხვა სტრუქტებისა და პათოგენური ორგანიზმებისა და ხანძრების მატება.

- ტყე მნიშვნელოვან როლს ასრულებს კლიმატის სისტემაში. ის წარმოადგენს ნახშირბადის ძირითად რეზერვაციას, შეიცავს ხმელეთის მცენარეულობაში აკუმულირებული ნახშირბადის 80%-ს და ნიადაგში არსებული ნახშირბადის დახსლოებით 40%-ს. ნახშირბადის დიდი რაოდენობა შეიძლება გამოთავისუფლდეს ატმოსფეროში ერთი ტიპის ტყის მეორე ტიპად გარდაქმნის შედეგად. ამის მიზეზი ის გარემოებაა, რომ ტყის კვდომა უფრო სწრაფად ათავისუ-



ფლებს ნახშირბადს, ვიდრე ტყის განაცლება და ზრდა შთანთქავს მას. ტყე, ნიადაგის ტემპერატურაზე, აორთქლება-ტრანსპირაციაზე, ზედაპირის ხორკლიანობაზე, ალბედოზე (არეკვლის უნარზე) ღრუბლების

ფორმირებაზე და ნალექებზე ზემოქმედების გზით, ასევე უშუალოდ ზემოქმედებს კლიმატზე ლოკალურ, რეგიონალურ და კონტინენტურ მაშტაბებში.

## ადამიანის ჯანმრთელობა

- მოსალოდნელია, რომ კლიმატის ცვლილება მრავალმხრივ გავლენას მოახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე. ჯანმრთელობის დაცვა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად საკმარისია საკვები, უსაფრთხოა სასმელი წყალი, უსაფრთხოა საკვერცხელი (თავშესაფარი), კარგია სოციალური პირობები, შესაბამისია საარსებო გარემო და ინფექციურ დაავადებათა კონტროლი.
- კლიმატის ცვლილებას, სუფთა წყლის მარაგის შემცირებით, შეუძლია გავლენა მოახდინოს წყლის რესურსებსა და მათ სანიტარულ მდგომარეობაზე. ამან თავის მხრივ, შეიძლება გამოიწვიოს სასმელი და სარიცხი წყლის შემ/აირიბა. შემ/აიროს



- ლოკალური საკანალიზაციო სისტემების ეფექტურობა, რაც გამოიწვევს ბაქტერიებისა და სხვა.
- ამინდის ექსტრემული მოვლენების სიხშირის ანდა ინტენსივობის ნებისმიერი ზრდა შეიძლება გახდეს საფრთხის მიზეზი. სითბურმა ტალღებმა, წყალდიდობებმა, შტორმებმა და გვალვებმა შეიძლება გამოიწვიოს სიკვდილიანობა და სხეულის დაზიანებანი, შიმშილი, პოპულაციების ადგილმდებარეობის შეცვლა, დაავადებათა აფეთქება, ფსიქოლოგიური გადაცრები. გაზრდილმა ტემპერატურებმა შეიძლება შეცვალოს დაავადებათა გადამტანი სახეობების გეოგრაფიული განაწილება.
- ჯანმრთელობაზე კლიმატის ცვლილების პოტენციური გავლენის შეფასება მრავალ გაურკვევლობას მოიცავს. მკვლევარებმა უნდა განიხილონ არა მარტო კლიმატის ცვლილების მომავალი სცენარები, არამედ არაკლიმატური ფაქტორებიც. მაგალითად, სიციო-ეკონომიკური მდგომარეობის ტენდენციებმა შეიძლება დიდი გავლენა მოახდინოს მოსახლეობის მოწყვლადობაზე, უფრო მარტივად რომ გთქვათ, ღარიბი საზოგადოებები (თემები) უფრო მოწყვლადი აღმოჩნდება ჯანმრთელობაზე კლიმატის ცვლილების გავლენის მიმართ, ვიდრე მდიდარი თემები. (წყარო: <http://moe.gov.ge>; [http://moe.gov.ge/index.php?sec\\_id=130&lang\\_id=GEO](http://moe.gov.ge/index.php?sec_id=130&lang_id=GEO); <http://moe.gov.ge/files/Klimatis%20Cvlieba>)

## ყურადღება

პროექტის „დავასუფთაოთ საქართველო - საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და მისი ჩართვა მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის გაუმჯობესების პროცესში“ (ფაზა 2) მიმდინარეობის ფარგლებში, ა/წ 1 მარტიდან ცხადდება კონკურსი „სუფთა რეგიონი“, კუელაზე დასუფთავებული რეგიონის გამოსავლენად.

ინფორმაცია კონკურსის პირობებისა და ვადების შესახებ განთავსდება პროექტის „დავასუფთაოთ საქართველოს“ [www.cleanup.ge](http://www.cleanup.ge) და გავრცელდება CENN და REC-caucasus ქსელების მეშვეობით.

**დაგასუფთაოთ მსოფლიო - დაგასუფთაოთ საქართველო  
ჩვენი ქვეყნა... ჩვენი კლასი... ჩვენი გასუსტებლობა**

საქართველოში „დაგასუფთაოთ მსოფლიო—დაგასუფთაოთ საქართველო“ კამპანია, შეიტხე წელია აღინიშნება პროექტის - „დაგასუფთაოთ საქართველო - საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და მისი ჩართვა მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის გაუმჯობესების პროცესში“.



„დაგასუფთაოთ მსოფლიო“ კამპანია, 1993 წელს დაარსდა გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამის (UNEP) ინიციატივით და ყოველი წლის სექტემბერში მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მასშტაბური დასუფთავების აქციით აღინიშნება. 2013 წელს, მსოფლიო დასუფთავების კამპანია ჩატარდა 130 ქვეყანაში. 2013 წლის დევიზმა: ჩვენი ქვეყანა... ჩვენი პლანეტა... ჩვენი პასუხისმგებლება, მიღიონობით ადამიანი გააურთიანა მსოფლიოში დასუფთავების აქციებში მონაწილეობის მისაღებად. საქართველოში, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, დასუფთავების აქცია 20 სექტემბერს დაიწყო და სამი დღის განმავლობაში მთელი ქვეყნის მასშტაბით მიმდინარეობდა.

20 სექტემბერს „დაგასუფთაოთ მსოფლიო—დაგასუფთაოთ საქართველო“ კამპანიის პირველ დღეს დასუფთავდა ციხე-სიმაგრე ნარიყალას მიმდებარე ტერიტორია, რომელშიც მწვანეთა მოძრაობის წარმომადგენლებთან ერთად



მონაწილეობნენ თსუ სტუდენტები, „პარტიზანული მებალეობის“, პარტიების „ახალგაზრდა რესპუბლიკელების“ და დემოკრეტიული მოძრაობა „თავისუფალი საქართველო“-ს წევრები, კონსორციუმში შემაცხლი ორგანიზაციების „ეკოვიური“ და „ორქისის“ წარმომადგენლები. ამავე დღეს ქ.თბილისის №16, №175 და №190 საჯარო სკოლებში, სკოლის პედაგოგებისა და მოსწავლეების მონაწილეობით დასუფთავდა აღნიშნული სკოლების მიმდებარე ტერიტორიები.



21 სექტემბერს, ნატოსა და ევროკავშირის საინფორმაციო ცენტრის აქტიური მხარდაჭერითა და მონაწილეობით, დასუფთავდა კოჯირის, წავისის ჭაბაზმელას და შინდისის სკოლების მიმდებარე ტერიტორიები, ასევე გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ორგანიზებით დასუფთავდა თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორია.

„დაგასუფთაოთ მსოფლიო - დაგასუფთაოთ საქართველო“ კამპანია სამი დღის განმავლობაში, თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, რუსთვის, თბილისის გარდა, ჩატარდა ბოლნისის, გარდაბანის, დმანისის, ქარელის, ხაშურის, კასპის, ახ-

ალკინის, ასპინძის, ბორჯომის, თიანეთის, სიღნალის, ყვარელის, აბაშის, ონის, გურჯაანის, ქედის, ახმეტის, ლაგოდების, დედოფლისწყაროს, ლანჩხუთის, ჩოხატაურის, ოზურგეთის, ცაგერის, წყალტუბოს, საჩხერის, ზესტაფონის, ხონის, ბალდათის, განის, სამტრედის, ხარაგაულის, თერჯოლის, ტყიბულის, ჭიათურის, ზუგდიდის, წალენჯიხის, სენაკის, მარტვილის, ჩხოროწყუს, მესტიის, ხობის, ამბროლაურის, ხელვაჩაურის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტებში.

**20-21-22 სექტემბრის „დავასუფთაოთ მსოფლიო“ კამპანიაში საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მონაწილეობა მიიღო დაახლოებით 41555 ადამიანმა, როგორც ორგანიზებულ ასევე თვითორგანიზებულ აქციებში. დასუფთავდა 612,65 ჰა ტერიტორია და შე-**

გროვდა 1349,6 მ³ ნარჩენი. ნარჩენები განთავსდა ნარჩენების ოფიციალურ პოლიგონებზე.

აქცია „დავასუფთაოთ მსოფლიო - დავასუფთაოთ საქართველო“ ჩატარდა პროექტის - „დავასუფთაოთ საქართველო - საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და მისი ჩართვა მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის გაუმჯობესების პროცესში“ (ფაზა 2) ფარგლებში, რომელსაც ახორციელდებს არასამთავრობო ორგანიზაციათა კონსორციუმი - „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა დედამიწის მეგობრები/საქართველო, მდგრადი განვითარების კავშირი „ეკოვიური“ და საქართველოს ბუნების მკელევართა კავშირი „ორქისი“, შევდეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (Sida) ფინანსური უზრუნველყოფით.

### საქართველოში ზყალმომარაგების ძალის არსებული პრობლემების განვითარება თანასახლობაზე

არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველო“-ს დაკვეთით, „ქალთა როლის გაძლიერება ყველასთვის“ (პოლანდიის საგარეო სამინისტროს პროგრამა) პროექტის ფარგლებში განხორციელდა კვლევა, რომელითაც უნდა დადგენილიყო საქართველოს სოფლებში ქალთა მდგომარეობის და პრობლემების ურთიერთკავშირი წყალმომარაგების, სასმელი წყლის მოპოვებისა და ხარისხთან დაკავშირებულ საკითხებზე. კერძოდ: უნდა გამოვლენილიყო,

- წყალმომარაგებაში არსებული პრობლემების პირდაპირი კავშირი დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს სოფლად მცხოვრები ქალების საყოფაცხოვრებო და შრომის პირობებთან, დახარჯულ დროსა და ენერგიასთან;
- სოფლის მოსახლეობისა და განსაკუთრებით ქალების ხედვა ზემოთ ნახსენები პრობლემებიდან გამოსავალი გზების ძიებაში;
- ქალთა გართულებული საყოფაცხოვრებო პირობების მოგვარების შემთხვევაში, გამოთავისუფლებული დროისა და ენერგიის, მათი და ოჯახის საკეთილდღეოდ გამოყენება.

ჩატარებული კვლევის მიზანი იყო საქართველო რეგიონებში კერძოდ, კახეთსა და იმერეთში მცხოვრები ქალბატონების სასმელ წყალთან დამოკიდებული პრობლემების და ამ პრობლემებისადმი მათი დამოკიდებულებების შესწავლა.

აღნიშნული კვლევა ითვალისწინებდა ამ მიმართულებით ვითარების შესწავლასა და ანა-

ლიზს. კვლევა განხორციელდა ფოკუს-ჯგუფის გამოყენებით დასვლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონებში. კერძოდ, კახეთში საგარეჯოს რაიონის სოფელ გიორგიწმინდას და ხონის რაიონის სოფელ მათხოვის მოსახლეობის ჯაუფებთან, ასევე გამართა შეხვედრები წყალმომარაგებასთან დაკავშირებულ პროფესიონალებთან, სოფლის რწმუნებულებთან და გამგებლის მოადგილეებთან.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა უამრავი პრობლემა, რაც დაკავშირებულია წყლის მომარაგებასთან და ხარისხთან. კერძოდ, კვლევით დადგინდა, რომ ოჯახს ყოველდღიურად სასმელი, საჭირო მომზადების, ჭურჭლის და სარეცხის, სახიტრული-ჰიგიენური მიზნებისათვის, დაახლოებით, ესაჭიროება 300-700 ლიტრამადე წყალი. ოჯახის წყლით მომარაგება ძირითადად ხორციელდება ქალების მიერ, რაც ქალების მხრიდან დაკავშირებულია დროის (დღეში 2-4 საათი) და ენერგიის დიდ დანახარჯთან.



განსაკუთრებით უჭირო იმ ქალბატონებს, რომლებიც მუშაობენ, რადგან საოჯახო საქმეების გარდა, ისინი საკუთარ მიწის ნაკვეთ-ებშიც ეწევიან ფიზიკურ შრომს, ასევე მარტოხელა მოხუცებს. ამის გამო ქალებს ნაკლები დრო ჩიჩებათ, როგორც პირადი, ისე ოჯახისათვის საჭირო სხვა საქმიანობისათვის.

ქალები, რომლებიც ფოკუს ჯგუფებში  
მონაწილობდნენ, მამაკაცებთან შედარებით  
უფრო აქტიურები და კრიტიკულები იყვნენ.  
ამას გარდა, თავად პრობლემაც მათგის უფრო  
აქტუალური იყო. ისინი კარგად აცნობიერ-  
ებენ, რომ წყლის პრობლემის მოხსნის შემთხ-  
ვევაში გამონთავისუფლებულ დროს მოახმარენ,  
როგორც ოჯახის კეთილდღეობას ისე პირადი  
პრობლემების მოგვარებას.

გამოიკვეთა სოფლად ლიდერი ქალბა-  
ტონები, რომლებიც მათთვის ზელის შეწყობის

(იგულისხმება მათთვის საჭირო ტრენინგები თუ საჭირო პროექტების დაფინანსებაში ხელშეწყობა) შემთხვევაში, დაკავდებიან სოფლად არსებული პრობლემების მოგვარებით. გამოიყოთა, რომ

- წყლის მიწოდების პრობლემის თუნდაც  
ნაწილობრივი მოხსნის შემთხვევაში, სო-  
ფლად ქალებისთვის, გამონთავისუფლებული  
დროის სწორად განაწილებისა და შესაფ-  
ერისი სამუშაოს გამონახვის შემთხვევაში  
მოსახლეობისათვის უფრო იოლი იქნება მი-  
წოდებული წყლის გადასახადის გადახდა.
  - ქალბატონების ჩართვა სოფლის საზოგადოე-  
ბრივი საჭიროებების მოგაბარებაში გაზრდის  
მათ თვითშეფასებას და დადგებითად აისახება,  
როგორც მათ შრომისუნარიანობის გაზრ-  
დაზე, ისე ოჯახის შემოსავალსა და კეთილ-  
დღეობაზე.

სულთანის გამოწვევები

სასტუმრო „ქორთიართ მარიოტში“ ფრიდრიხ ებერტის ფონდის, საქართველოს მწვანეთა მოძრაობა დედამიწის მეგობრები-საქართველოს და არასამთავრობო ორგანიზაციების მწვანე ალტერნატივა, საქართველოს ენერგეტიკოსთა კავშირი, სვანეთის ტურიზმის ცენტრი და სვანეთის ახალგაზდული კურტრის ორგანიზებით ჩატარდა კონფერინცია თემაზე: „ტურიზმის გამოწვევები“:



შეცვდრზე ორგანიზატორებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა შეი-  
მუშავეს საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციების ერთობლივი გადაწყვეტილება, ხუდონპესის  
მშენებლობასთან დაკავშირებით.



**საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციების  
ეროვნული გადაწყვეტილება  
ხუდონის მშენებლობასთან დაკავშირებით**

**ჩვენ, საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციები:**

ვაცნობიერებთ რა, ენერგიაზე მოთხოვნილების ზრდის და ტრადიციული ენერგომატარებლების მარაგების შემცირების შეუქცევად ტენდენციას;

ვაცნობიერებთ რა, კაცობრიობის არსებობისა და განვითარების საქმეში ენერგიის შეუცვლელ როლს;

ვაცნობიერებთ რა, საქართველოს ენერგოპოტენციალის მაქსიმალურად, ამასთან გონივრულად და მდგრადად გამოყენების აუცილებლობას;

**მიუღებლად მიგვაჩნია**

- საქართველოს ხელისუფლების მიერ მიღებული გადაწყვეტილება მაღლივი კაშტლებისა და დიდი წყალსაცავების მქონე პიროვნეულებრივ სადგურების მშენებლობის თაობაზე მაშინ, როცა არ არსებობს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მრავალწლიანი გეგმა და ენერგეტიკის განვითარების შესაბამისი პროგრამა;
- სახელისუფლო დონეზზე ელექტროენერგიის ინტენსიურად გენერირების მუდმივი ლობირება ენერგოფენეტურობისა და ენერგიის დაზოგვის სფეროში სრული განუკითხაობის პირობებში;



განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილება ხუდონის მაღლივი კაშტლის მშენებლობის თაობაზე, რაგდანაც:

- მიუღებლად მიგვაჩნია საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილება ხუდონპესის აშენების შემთხვევაში ადგილობრივი სვანების მასიურად გადასახლების შესახებ, რაც დამანგრეველი შედეგების მომტანი იქნება, ისედაც კატასტროფულად შემცირებულ სვანეთის მოსახლეობის, დემოგრაფიული მდგომარეობისათვის.
- არ ჩატარებულა ხუდონპესის მშენებლობის განახლებისა და ახალი საპროექტო ღონისძიებების სრულყოფილი საინჟინრო-გეოლოგიური შესწავლა;
- არ ჩატარებულა პროექტის ექსპერტიზა პროექტის განხორციელების რეგიონის სტიქიური გეოდინამიკური პროცესებისა და აქტიური სეისმურობის ფონზე, შესწავლილი არ არის, კონსერვაციის გარეშე შეჩერებულ მშენებლობაზე, უკანასკნელი 25 წლის განმავლობაში საქართველოს ტერიტორიაზე განვითარებულმა მიწისძრებმა რა გავლენა იქონია კაშტლის ფუძის ამგებელი ქანების ნაპრალიანობაზე;



- წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ იძლევა საშუალებას, დაანგარიშებული და შედარებული იქნას, თუ რამდენად აღემატება ხუდონპესის ექსპლოატაციით მიღებული შესაძლო ეკონომიკური სარგებელი, იმ პოტენციურ ზიანს (სოციალურ, დემოგრაფიულ, ეკოლოგიურსა და კულტურულ სფეროში), რომელსაც საქართველო მიიღებს ამ პროექტის განხორციელების შემთხვევაში;
- მიუღებელია დატბორვის ზონაში არსებული სასაფლაოების და საკულტო ნაგებობების გადატანის საკითხი, რაც არღვევს ქართულ მართმადიდებლურ ტრადიციებს;

- წყალქვეშ აღმოჩნდება ათეულობით საეკლე-სიო და ისტორიულ ძეგლი, მათ შორის ხაიშში აღმოჩნდილი და ჯერ კიდევ შეუსწავ-ლელი, ჩ.წ. აღრიცხვამდე VI საუკუნით და-თარიღებული, არქეოლოგიური (სარიტუ-ალო) კომპლექსი;
- პროექტის განხორციელება, გრძელვადიან პერიოდში, გამოიწვევს ქვეყნისთვის გეო-პოლიტიკური, მათ შორის, სამხედრო რისკე-ბის ზრდას.
- საფრთხე შეექმნება სვანეთის რეგიონის სო-ციალურ და ბუნებრივ გარემოს, პირდაპირი ზემოქმედების ქვეშ მოხვდება იდლიანის, ხაი-შისა და ჭუბერის თემების სოფლები, ხოლო ირიბი ზემოქმედება გავრცელდება მთელს ხეობაზე;
- დაიტბორება ჯვარი-მესტიის დამაკავშირებელი ერთადერთი საგზაო მაგისტრალი, ხოლო მისი აღტერნატივა, საუკეთესო შემთხვევაშიც კი, არ იქნება ხალსაყრელი ადგილობრივი მოსახლეო-ბისათვის;



ჩვენ, ქვემოთ ხელმომწერი საქართველოს საზოგადოებრივი ორგანიზაციები და ექსპერტები, გამოვთქვამთ ღრმა რწმენას, რომ საქართველოს ხელისუფლება გამოიჩინს გონივრულობას, გაითვალისწინებს ჩვენს ქვემოთმოყვანილ რეკომენდაციებს და მათი გათვალისწინებით მიიღებს ხუდონჰესის მშენებლობის განახლებასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებას.

### რეკომენდაციები:

#### საქართველოს უმაღლესმა ხელისუფლებამ:

- შეიმუშაოს და მიიღოს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მრავალწლიანი გეგმა და ენერგეტიკის განვითარების შესაბამისი პროგრამა;
- შეიმუშაოს ქვეყნის ენერგეტიკული ბალანსის დაცის მრავალწლიანი გეგმა და ჰიდროელექტრო პოტენციალის ათვისება დაგეგმოს იმ ოდენობით, რომელიც რადიკალურ ნეგატიურ გავლენას არ მოახდენს ბუნებრივ გარემოსა და ადგილობრივი მოსახლეობის საცხოვრებელ გარემოზე;
- დაუყოვნებლივ შეიმუშაოს და მიიღოს კანონები „ენერგოფექტურობისა“ და „ენერგიის დაზოგვის“ შესახებ;
- დაუყოვნებლივ შეიმუშაოს და მიიღოს კანონი (კანონები) განახლებადი ენერგიების ეფექტურად გამოყენების შესახებ და უზრუნველყოს არატრადიციული მეთოდებით ენერგიის გენერირების მასტიმულირებელი ღონისძიებების ფართოდ დანერგვა;
- ყველა ჰიდროელექტრონადგურის მშენებლობის პროექტი განახორციელოს გეოპოლიტიკური, მ.შ. სამხედრო რისკების გათვალისწინებით;
- პრატიკული დანერგოს ჰიდროენერგიის ელექტრონერგიად გარდაქმნის თანამედროვე ტექნოლოგიები და შესაძლებლობების ფარგლებში მაქსიმალურად აიცილოს თავიდან ბუნებრივ გარემოზე ნეგატიური ზეგავლენა;
- ხუდონჰესის მშენებლობის განახლების ან დაკონსერვების შემთხვევაში მაქსიმალურად;
- საგაღდებულო და თავისუფალი (ხელმისაწვდომი) გახადოს საზოგადოებისა და ცალკეული დაინტერესებული პირების მონაწილეობა ჰიდროელექტრო სადგურებისა და სხვა მსგავსი მასშტაბური ობიექტების მშენებლობის ყველა ეტაპზე – იდეის წარმოშობიდან ობიექტი ექსპლოატაციაში გაშვებამდე.
- გაითვალისწინოს ხუდონჰესის მშენებლობასთან დაკავშირებით ამ დოკუმენტში გამოთქმული სურვილები და წინადადებები, დამატებითი, კომპლექსური კვლევების საფუძველზე მოამზადოს სოციალურ და ბუნებრივ გარემოზე მშენებლობის ზემოქმედების სრულყოფილი შეფასება, ხოდონჰესის შეფასებითი ეკონომიკური ანალიზი და ამ დოკუმენტზე, აგრეთვე საზოგადოების, განსაკუთრებით კი ადგილობრივი მოსახლეობის აზრის გათვალისწინებით, მიიღოს გონივრული გადაწყვეტილება.



პუბლიკაცია გამოიცა ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. პუბლიკაციის შინაარსზე პასუხისმგებელია საქართველოს მწვანეთა მოძრაობა. მასში გამოთქმული მოსაზრებები არ უნდა იქნეს მიჩნეული ევროკავშირის მოსაზრებებად

## ძლიერი ცვლილების ჩარჩო ძონვის მხარეთა მე-19 შეხვედრა (COP-19)

პოლონეთში ქ. ვარშავაში, ჩატარდა კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის მხარეთა მე-19 შეხვედრა (COP-19), რომელშიც მონაწილეობდნენ როგორც კონვენციის ხელმომწერი ქვეყნებს წარმომადგენლები, ასევე არასამთავრო ორგანიზაციებისა და სოციალური მოძრაობების წარმომადგენლები.

21 ნოემბერს მიმინარე მხარეთა შეხვედრა არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სოციალური მოძრაობების წარმომადგენლებისა და სოციალური მოძრაობების წარმომადგენლებმა, დემონსტრაციულ დატოვეს და საპროტესო აქცია გამართეს. შეგავსი ქმედება პირველია კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის მხარეთა შეხვედრის (COP) ისტორიაში.

ვარშავის კლიმატის კონფერენცია საღამო და მოძრაობების მიმდევად გადაწყვეტილი ინდუსტრიის ინტერესებს და ეწინააღმდეგება მსოფლიო მოსახლეობის მოთხოვნებს.



ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების კლიმატის ჩარჩო კონვენციის ძირითად მიზნებსა და პრინციპებს რაც თავის მხრივ წარმოადგენს მნიშვნელოვან პროცესს, საღამო მიღწეულ უნდა იქნას მნიშვნელოვანი წარმატება რათა თავი დავაღწიოთ კლიმატის ცვლილებით გამოწვეულ კრიზისს.

ვარშავის კონფერენცია მხოლოდ ხელს უწყობს ბინდური ენერგეტიკული ინდუსტრიის ინტერესებს და ეწინააღმდეგება მსოფლიო მოსახლეობის მოთხოვნებს.

ორგანიზაციებმა და მოძრაობებმა, რომლებიც წარმოადგენენ ხალხის ინტერესებს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეებიდან გადაწყვიტეს, რომ საუკეთესო გამოსავალი ამ პროცედან არის დროის დაზოგვა და ვარშავის მოლაპარაკებების ნებაყოფლობითი დატოვება. ნაცვლად ამისა, მოვუწოდებთ ხალხს, შემოგვიერთდნენ, აიმაღლონ ხმა გადაწყვეტილების მიმღებთა მიმართ და აიმულონ მათ მიიღონ სერიოზული გადაწყვეტილებები.

ორგანიზაციებმა და მოძრაობებმა, რომლებიც წარმოადგენენ ხალხის ინტერესებს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეებიდან გადაწყვიტეს, რომ მოლაპარაკებების ასეთი დემონსტრაციული დატოვება იქნება პირველი ისტორიული შემთხვევა კონფერენციის ისტორიაში.



**რედაქტორი:** ლელა ყაჭეიშვილი

**გამოცემაზე მუშაობდნენ:** ლელა ყაჭეიშვილი, რუსუდან სიმონიძე, მაია კაპანაძე  
**დიზაინი:** ირაკლი გულედანი

**საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები საქართველო**

**საქართველო, თბილისი, პეტიონის ქუჩა №10, სადარბაზო I, ბინა 2**

**ტელ/ფაქსი: (+995 32) 2306221; ელ-ფოსტა: info@greens.ge**

**Web-გვერდი: www.greens.ge**